პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 10 (9786) | ოთხშაბათი, 13 იანვარი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში (1-ლი და მე-2 გვერდი).
კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები (მე-2 გვერდი).
გადაჭრით გავაძლიეროთ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდა (მე-2 გვერდი).
ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲓᲐᲜ. დ. ლომთაძე, ვლ. თორდუა. — კიევი (მე-3 გვერდი).
კიევის ამბები (მე-3 გვერდი).
დ. ᲞᲐᲘᲯᲐᲫᲔ. — ციტრუსოვანთა გაზრდა-გავრცელება (მე-3 გვერდი).
სად ჩამორჩა საგაზაფხულო თესლის მომზადება (მე-3 გვერდი).
ი. ᲞᲣᲓᲝᲕᲙᲘᲜᲘ. — ქართველი ჩაპაევები (მე-3 გვერდი).
ჩინეთის კომუნისტური პარტიის [illegible] ტის დადგენილება სასოფლო-სამეურნეო [illegible] რატივების განვითარების შესახებ (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).
მ. ᲩᲘᲠᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ. — კულტურული ურთიერთობა მოძმე ხალხებთან (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბანი

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება ხელს უწყობს მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას და საბჭოთა ინტელიგენციას კიდევ უფრო გააჩაღონ შეგნებული შემოქმედებითი შრომა და განავითარონ ინიციატივა. საბჭოთა კავშირში საზოგადოების ხაზით ყოველწლიურად იკითხება მილიონზე მეტი ლექცია. საზოგადოების რიგებში გაერთიანებული არიან და სალექციო მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები — აკადემიკოსები, პროფესორები, დოცენტები, მეცნიერებათა კანდიდატები, ცოდნის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, ჩვენი მრეწველობისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის ნოვატორები, სოციალისტური შრომის გმირები. სსრ კავშირში საზოგადოება 300 ათასზე მეტ წევრს აერთიანებს. მარტო ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებაში გაერთიანებულია 5 ათასზე მეტი კაცი.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება საკმაო პოპულარობით სარგებლობს ხალხში. მან ლექციური პროპაგანდის საქმეში დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვა მასებში. მაგრამ, მიუხედავად თვალსაჩინო და ნაყოფიერი სასარგებლო მოღვაწეობისა, საზოგადოებას მეტად სერიოზული ნაკლოვანებები აქვს თავის მუშაობაში, რაც გამომქღავნებულ იქნა საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების დროს ადგილებზე და პირველ რესპუბლიკურ ყრილობაზე, რომელიც ახლახან მოეწყო.

როგორია ეს ნაკლოვანებანი?

საზოგადოება ჯერ კიდევ ჩამორჩება თავის ამოცანებს და საბჭოთა ხალხის მასების განუწყვეტლივ მზარდ სულიერ მოთხოვნილებებს. საკმაო რაოდენობით არ იკითხება და არ იბეჭდება ლექციები მარქსისტულ-ლენინური თეორიის ყველა აქტუალურ საკითხზე. ლექციურ პროპაგანდაში სათანადოდ არ შუქდება კომუნიზმის მშენებელი ხალხის ხელმძღვანელი ძალის — კომუნისტური პარტიის წარმმართველი როლი. ჯერ კიდევ საჭირო რაოდენობით არ იკითხება ლექციები საბჭოთა პატრიოტიზმზე, პროლეტარულ ინტერნაციონალიზმზე, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობაზე, სოციალისტური სისტემის ძლიერებაზე, მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმატებათა შესახებ.

საზოგადოების ლექციურ პროპაგანდაში ჯერ კიდევ არ არის დაძლეული დოგმატიზმი, მედავითნეობა. ლექციების ნაწილი მჭიდროდ არ უკავშირდება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს. ზოგიერთი ლექტორი არ იყენებს ჩვენი რესპუბლიკის, განსაკუთრებით კი იმ რაიონის, საწარმოს ან კოლმეურნეობის ცხოვრებიდან აღებულ ფაქტიურ მასალას, სადაც ლექცია იკითხება. ამიტომ ლექცია ხშირად ვერ უპასუხებს ცხოვრების ამოცანებს. ისტორიის საკითხებზე ლექციები ზოგჯერ მოწყვეტილია თანადროულობას.

ჩამორჩენილია საბუნებისმეტყველო და სამეცნიერო-ტექნიკურ ცოდნათა პროპაგანდა. ძლიერ ცოტა ლექციები იკითხება საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. საზოგადოებამ ვერ მიაღწია იმას, რომ ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი მეცნიერები ლექციებს კითხულობდნენ უმთავრესად საწარმოებში, კოლმეურნეობებში, ცენტრიდან დაშორებულ რაიონებსა და სოფლებში, ადგილებზე ეხმარებოდნენ პრაქტიკოს მშენებლებს მუშაობის წარმართვაში მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე. საზოგადოების ხაზით წაკითხული ლექციების მხოლოდ 11 პროცენტი მოდის საწარმოებზე. ლექციური პროპაგანდის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ლექციის მეცნიერული დონე ყოველთვის არ არის შეხამებული მის პოპულარობასთან. ლექციები საკმაოდ არ იკითხება სოფლად.

საზოგადოებამ ვერ უზრუნველყო მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელება. ჩამორჩენილია მიჩურინული აგრობიოლოგიის პროპაგანდა, იშვიათად გამოდის ბროშურები სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე. ყოველივე ამის მიზეზი ისიც არის, რომ საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის სექციები და საზოგადოების წევრთა დიდი ნაწილი არასაკმაო ინიციატივას იჩენენ. ადგილებზე საკმაო რაოდენობით არ არის შექმნილი ლექტორიუმები, ხოლო არსებული ლექტორიუმები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. განსაკუთრებით სისუსტეს იჩენს საზოგადოების რაიონულ განყოფილებათა ერთი ნაწილი (ბოგდანოვკა, დუშეთი, ქლუხორი და სხვ.).

საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის, საოლქო, საქალაქო და რაიონული განყოფილებების მოვალეობაა დაუყოვნებლივ გარდაქმნან მუშაობა არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, გააძლიეროს ბრძოლა ყრილობის მიერ დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად, ყოველმხრივ გააუმჯობესონ საზოგადოების ორგანიზაციული და პროპაგანდისტული მუშაობა ცენტრში და ადგილებზე.

ახლა, როცა კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კომუნიზმის მშენებლობის დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ, როცა პარტია უდიდეს მუშაობას ეწევა მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობას. საზოგადოება მოწოდებულია აქტიური და ქმედითი დახმარება გაუწიოს პარტიას მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში, მობილიზაცია უყოს მათ პარტიის XIX ყრილობის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ადგილებზე მეტი ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა აღმოუჩინონ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობას, მეტი ყურადღება დაუთმონ იდეოლოგიური მუშაობის ამ მნიშვნელოვან უბანს, რათა გადაჭრით გაუმჯობესდეს ლექციების მიზანდასახულობა, ამაღლდეს მათი იდეურ-თეორიული და მეცნიერული დონე, გაძლიერდეს მასებში ლექციური პროპაგანდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1954 წლის 14 მარტის არჩევნების დროს სახელმძღვანელოდ მიღებულია არჩევნების დებულება, დამტკიცებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 9 იანვრის ბრძანებულებით, და დატოვებულია ამომრჩეველთა სიისა და ხმის მიცემის უფლების მოწმობის ფორმები, რომლებიც გამოყენებული იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს 1950 წელს.

ვ. ი. ლენინის თხზულებანი ჩეხურ და სლოვაკურ ენებზე

პრაღა, 11 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ პრაღაში 50 ათასი ცალი ტირაჟით ჩეხურ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა VII ტომი.

პოლიტიკური ლიტერატურის სლოვაკიის გამომცემლობამ ბრატისლავაში სლოვაკურ ენაზე გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა II ტომი.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★ ★

ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანები

სტალინო, 11 იანვარი. (საკდესი). სტალინოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა მინდვრის მშრომელთათვის უშვებს ცხრა ტიპის მანქანებს — ჭაობის ფრეზებს, მძიმე საფხვიერებელ მანქანებს, საპლანტაჟე გუთნებს და სხვ. დღეს დამთავრდა ახალი კონსტრუქციის პირველი აგრეგატების — კონსტრუქტორ კოსტავას სისტემის თითო თვითმავალი ჩაის უნივერსალური მანქანების — „ჩიუგ-1,6“ აწყობა.

ახალი მანქანა დადის სამი რეზინის თვლით და გარეგნულად ეტლიან მოტოციკლს ჰგავს. იგი გაკუთვნილია ვაკის პლანტაციებში და ციცაბო მთის კალთებზე ჩაის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის. სპეციალურ მოწყობილობათა საშუალებით მანქანას უკეთდება ჩაის ბუჩქების სასხლავი, მინერალური სასუქების მოსაყრელი საცვლელი აპარატები, აგრეთვე მწკრივთა შორის საფხვიერებელი კულტივატორი.

აგრეგატს აქვს ოთხნახევარი ცხენისძალის სიმძლავრის ძრავა და მოძრაობის ოთხი სიჩქარე. მანქანას ამუშავებს ერთი მძღოლი. მას შეუძლია დღეში ჩაის ბუჩქების გახვლა სამ ჰექტარზე, ხოლო კულტივაცია და სახუჭის მოყრა ათამდე ჰექტარზე. მანქანა ამ სამუშაოზე ცვლის ათობით კოლმეურნეს.

მოყვარულთა სატელევიზიო ცენტრი სვერდლოვსკში

სვერდლოვსკი, 10 იანვარი. (საკდესი). აქ მუშაობა დაიწყო არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საოლქო რადიოკლუბის სასწავლო ექსპერიმენტალმა ტელეცენტრმა. მისი აშენების ინიციატორები არიან რადიომოყვარულები — ინჟინრები გ. დრეიპა, ლ. ჩერტინსკი და ხმის ოპერატორი ე. ნიკულსკი.

მოყვარულთა ტელეცენტრი გადაცემას აწარმოებს კვირაში ორჯერ. მის პროგრამაშია მხატვრული, სამეცნიერო-პოპულარული და ტექნიკური კინოფილმები. ახლა ენთუზიასტი რადიომოყვარულები აწყობენ სტუდიას კონცერტების გადასაცემად. სავეჭრო ორგანიზაციები მრავალ განაცხადს იღებენ ტელევიზორებზე. უკანასკნელ ხანს 200-მდე ტელევიზორი გაიყიდა.

მზადება მთვარის სრული დაბნელების დასაკვირვებლად

პულკოვო (ლენინგრადის ოლქი), 10 იანვარი. (საკდესი). პულკოვოს მთავარ ასტრონომიულ ობსერვატორიაში დაიწყო მზადება მთვარის სრული დაბნელების დასაკვირვებლად, რომელიც მოხდება 1954 წლის 18 იანვარს ღამით.

დაკვირვება განხორციელდება ორი სრულყოფილი ხელსაწყოს — ასტროგრაფების დახმარებით. მთვარის მიღებული ფოტოსურათები გაიზომება სპეციალური ფოტომეტრებით, შემდეგ კი შედარებულ იქნება მთვარის დაბნელების წარსულ დაკვირვებათა მონაცემებთან.

პულკოვოს ობსერვატორიასთან ერთად მთვარის სრული დაბნელებას დაკვირვებას აწარმოებს სსრ კავშირის ბევრი ასტრონომიული დაწესებულება. დაკვირვების მიზანია გამოარკვიოს დაბნელების დროს მთვარის სიკაშკაშის დამოკიდებულება მზის ლაქების რაოდენობაზე. ამას დიდი მეცნიერული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მზის მოქმედების ფაზა გავლენას ახდენს დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენებზე, რომელთა მდგომარეობაზე, თავის მხრივ, დამოკიდებულია მთვარის სიკაშკაშე დაბნელების დროს.

მანქანები სოფლის მეურნეობისათვის

სილოსის ასაღები კომბაინები

კუიბიშევი. სიზრანის კომბაინის ქარხანა გამოსაშვებად ამზადებს სილოსის ასაღებ კომბაინებს.

ახალი მანქანა თიბავს და ამავე დროს აჭუცმაცებს მცენარეს. აგრეგატის წარმადობა 70 ტონა სილოსის მასას უდრის საათში.

მინგეჩაურის ჰესის პირველი რიგი

საუბარი მინგეჩაურის ჰიდროკვანძის მშენებლობის უფროს ი. მ. ილლამ-ზადესთან

მინგეჩაურის ჰიდროკვანძი აზერბაიჯანის უდიდესი მშენებლობაა. ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც ამიერკავკასიის წყლის მთავარ არტერიაზე — დენარე მტკვარზე შენდება, და სარწყავი არხების ქსელს, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

მშენებლობის კოლექტივი განიცდის პირველი დიდი გამაჯვებების სახარულს — მინგეჩაურის ზღვის წყალმა აამუშავა ორი ტურბინ-გენერატორი. ჰიდროელექტროსადგურის პირველი რიგი მწყობრში ჩადგა. ამუშავებული ჰიდროაგრეგატები არა მარტო უზრუნველყოფენ ენერგიით მშენებლობისა და ახალ ქალაქ მინგეჩაურის სამეურნეო საჭიროებებს, არამედ დენსაც მისცემენ ბაქოს, რესპუბლიკის მეორე სამრეწველო ცენტრს — ქალაქ კიროვაბადს, აგრეთვე მახლობლად მდებარე ორ სასოფლო რაიონს.

მშენებლები მთელ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ ერთი წლით ადრე დაამთავრონ სამუშაოთა კომპლექსი. მიმდინარე წლის დამლევს მწყობრში ჩადგება ექვსივე აგრეგატი.

მინგეჩაურიდან რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრებში — ბაქოში, სუმგაიტში, კიროვაბადში, დაშქესანში უკვე გაყვანილია ელექტროგადამცემი მაღალვოლტიანი ხაზები. უახლოეს დროში ასობით მტს-ი, საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა ჩაერთვება ელექტროქსელში.

აზერბაიჯანის გლეხობა დიდი ხანია ოცნებობდა გამოეყენებინა მტკვრის წყალი მტკვარ-არაქსის ვრცელი დაბლობის ცარიელი მიწებისა მოსარწყავად. ეს ოცნება ჰიდროკვანძის აგებისთანავე განხორციელდება.

რამდენიმე წლის წინათ იქ, სადაც მტკვარმა ოდესღაც ბოზ-დაღი გაარღვია, გაჩაღდა მიწის კაშხალის მშენებლობა. კაშხალი ჰიდროკვანძის მშენებლთა სიამაყეა. მისი მიწაყრილის მოცულობა მიაღწევს თხუთმეტ მილიონ კუბურ მეტრს, თხემის სიგრძე — 1.540 მეტრს, სიგანე — 500 მეტრს, სიმაღლე 87,5 მეტრს. ეს უზარმაზარი კაშხალი მიუვალი ბასტიონი იქნება ადიდებული მტკვრისათვის. კაშხალში, რომლის სიმაღლემაც უკვე გადააჭარბა 64 მეტრს, ჩაყრილია 11,5 მილიონი კუბური მეტრი ხრეში და სილა. მინგეჩაურში პირველად არის გამოყენებული დიდი მასშტაბით მაღალი კაშხალის ამოვსების უესტაკადო მეთოდი.

კაშხალის სამუშაოები მთლიანად მექანიზებულია. ყოველდღე იყრება ოცი ათას კუბურ მეტრზე მეტი გრუნტი. მძლავრი მიწისმწოვი მანქანების ამდენი ხრეშისა და სილის ნარევით უზრუნველსაყოფად მშენებლობის მახლობლად შექმნილია დიდი კარიერი. მის სანგრევებში მუშაობს ოცდაათზე მეტი ექსკავატორი, რომელთაგან 22 მოსაარული ექსკავატორია ოთხ და ხუთკუბიანი ციცხვით. გრუნტის მოზიდვაზე მუშაობს ოცდახუთი რკინიგზის შემადგენლობა.

კაშხალის უკან შექმნილია წყალსაცავი — მინგეჩაურის ზღვა. მისი საერთო მოცულობა თექვსმეტი მილიარდი კუბური მეტრია. ამჟამად ზღვის დონემ კაშხალთან 56 მეტრს მიაღწია. იგი უკვე გაიშალა 65 კილომეტრზე. 1954 წელს მისი სიგრძე მიაღწევს 75 კილომეტრს, ხოლო სიგანე — 13 კილომეტრს. წყალსაცავში სათავე აქვს ოთხ სარწყავ არხს. ერთი მათგანი — ზემო ყარაბაღის არხი წყალს მიიღებს მთაში გაყვანილი გვირაბით. არხი საექსპლოატაციოდ იქნება გადაცემული მიმდინარე წელს. იგი შესაძლებელს გახდის თითქმის ერთიორად გადიდდეს ბამბის ნათესები. ეას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის, ბალ-ბალჩების დიდი მასივების შექმნისათვის. წყალი სხვა ველებსაც — მირვანის, მუღანისა და მილის ველებსაც აყვავებულ მინდვრებად, ბაღებად და ვენახებად, ნოყიერ საძოვრებად გადააქცევს. მტკვარ-არაქსის დაბლობის სრული ათვისება უზრუნველყოფს აქ ბამბის დიდი ბაზის შექმნას.

მშენებლობაზე დამთავრებულია ბეტონის ძირითადი სამუშაოები. მზად არის წყალმიმღები, ჰესის შენობა სამი ტურბინგენერატორის ფარგლებში, ღია ქვესადგური, ხურდალანის მიმღებ-შესამცირებელი ქვესადგური და სხვა ობიექტები.

მინგეჩაური ნამდვილი საყოველთაო-სახალხო მშენებლობაა. მას აგებს მთელი ჩვენი ქვეყანა. ასობით საწარმო ამარაგებს მშენებლობას მოწყობილობით, მასალებით და სხვ. ლენინგრადი აწვდის ტურბინგენერატორებს, ხარისხიან ამწეებს, მოსკოვი — მძლავრ ტრანსფორმატორებს, უკრაინა — ელექტროაპარატურას, ექსკავატორებს, ფოლადის გვარლებს, ურალი — მოსიარულე ექსკავატორებს.

მშენებელთა შორის არიან ოცი ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც მშენებლობაზე ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ბევრი მათგანი აშენებდა ციმლიანსკის ჰესს, უსტ-კამენოგორსკის ჰესსა და სხვა ნაგებობებს. მომმე რესპუბლიკების სპეციალისტებმა და ოსტატებმა ახალგაზრდა აზერბაიჯანელებს შეასწავლეს ისეთი პროფესიები, რომლებიც წინათ ჩვენს რესპუბლიკაში არ ყოფილა. ყოფილმა კოლმეურნეებმა დაიწყეს ექსკავატორების, მიწისმწოვი მანქანების, ჰიდრომონიტორებისა და ბულდოზერების მართვა. მშენებლობაზე ფართოდ ცნობილია სარვან სალმანოვის სახელი. იგი აქ ჩამოვიდა მთის კოლმეურნეობიდან, მუშაობა დაიწყო მიწისმთხრელად, ხოლო ახლა მოსიარულე ექსკავატორების მემანქანეთა ბრიგადას ხელმძღვანელობს. ამას წინათ სალმანოვი დაბრუნდა დნეპრჰესიდან, სადაც ექსპლოატაციის მუშაკის პროფესიას სწავლობდა.

კარგად შრომობდნენ ჰესის პირველი რიგის მშენებლობაზე ექსკავატორების უფროსი მემანქანეები ქიამალ მურადოვი, ვასილ დოროხინი, ნიკოლოზ ბოროდინი, ორთქლმავალთა უფროსი მემანქანეები მამედ მამედოვი, ისაბალა ისაევი, ალი მიკაილოვის მებეტონეთა ბრიგადა და ბევრი სხვა.

სამშენებლო მოედნის მახლობლად არის ქალაქი მინგეჩაური. იგი გაიშალა მტკვრის ორივე ნაპირზე. მის ცენტრში მრავალსართულიანი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებია. ამას წინათ მშენებლებმა კარგი საჩუქარი — კულტურის სახლი მიიღეს.

მინგეჩაურის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ჩვენ მთელ ძალღონეს მოვახმართ იმას, რომ წარმატებით შევასრულოთ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

მინგეჩაური, 9 იანვარი. (საკდესი).

მოსკოვი

„ალბანეთის დიდი მეომარი — სკანდერბეგი“

მოსკოვის კინოს სახლში გაიმართა განხილვა ახალი ფერადი მხატვრული ფილმისა „ალბანეთის დიდი მეომარი — სკანდერბეგი“. ფილმი გადაღებულია მ. პაპავას სცენარის მიხედვით. დამდგმელია — ს. იუტკევიჩი, რეჟისორები არიან — ე. ანდრიანისი, მ. ანჯაფარიძე, მ. გომოროვი, ვ. სტრატობერდა.

ახალი ფილმი წარმოადგენს ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის „მოსფილმის“ და სახელმწიფო კინოსტუდია „ახალი ალბანეთის“ ერთობლივ ნაწარმოებს.

ფილმში სხვა ბევრ მსახიობთან ერთად მონაწილეობას იღებენ საბჭოთა საქართველოს მსახიობებიც. გიორგი კასტრიოტის, სკანდერბეგად წოდებულის როლს ასრულებს ა. ხორავა, დაფინას — ვ. ანჯაფარიძე, ლეონიკუსის — ს. ზაქარიაძე.

ფილმში ნაჩვენებია ალბანელი ხალხის გმირული ბრძოლა თურქეთის უღლის წინააღმდეგ.

მუსიკალური კომედია „ᲭᲠᲘᲭᲘᲜᲐ“

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში საგასტროლოდ ჩამოსული იყო სვერდლოვსკის მუსიკალური კომედიის თეატრი. თქვენს კორესპონდენტთან საუბარში თეატრის დირექტორმა ამხ. ი. კაზენინმა განაცხადა შემდეგი:

სვერდლოვსკის მუსიკალური კომედიის თეატრმა მოამზადა კომპოზიტორ რ. გაბიჩვაძის მუსიკალური კომედია „ᲭᲠᲘᲭᲘᲜᲐ“ (ლიბრეტო მ. ბარათაშვილისა და ი. როფისა). დადგმა დაევალა ახალგაზრდა რეჟისორ ე. გედევანიშვილს, რომელიც ამ თეატრში მესამე წელია მუშაობს, მხატვრულად აფორმებს ნ. სიტნიკოვი. იგი სპეციალურად იყო საქართველოში შემოქმედებითს მივლინებაში, სადაც მას აღმოუჩინეს გულთბილი დახმარება. დირიჟორია ა. გეოიკმანი. ᲥᲝᲠᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ნაწილის ხელმძღვანელად მიწვეულია ბალეტმეისტერი ციმაკურიძე.

(საკ. კორესპონდენტი).

მილიონობით შემოსავალი მეცხოველეობისაგან

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ. (საკდესი). ოლქის კოლმეურნეობებში აჯამებენ სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, გაჩაღდა მზადება კოლმეურნეთა საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებებისათვის.

გასული წელი აღინიშნა ახალი შრომითი წარმატებებით. გადიდდა პურის, ხორცის, რძის, მატყლის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. დიდი შემოსავალი მიიღეს კოლმეურნეობებმა საზოგადოებრივი მეცხოველეობისაგან. კუპიანსკის რაიონის კოლმეურნეობა „8 ბერეზნაიაში“, რომლის თავმჯდომარეა სოციალისტური შრომის გმირი ს. კ. იაროშენკო, მეცხოველეობის შემოსავალმა შეადგინა დაახლოებით ორი მილიონი მანეთი — 61 ათასი მანეთი ყოველ ას ჰექტარ ნახნავზე.

ასეთ დიდ შემოსავალს კოლმეურნეობამ მიაღწია იმის შედეგად, რომ შექმნა მტკიცე საკვები ბაზა, გაიაუმჯობესა პირუტყვის მოვლა და სისტემატურად მუშაობს მეცხოველეობის პროდუქტიულობის გასაადიდებლად. მეცხოველეობის პროდუქციის საშუალო გამოსავლიანობა ას ჰექტარ ნახნავზე აქ შეადგენს: ხორცისა — 68,5 ცენტნერს, რძისა — 240 ცენტნერს. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა გაცილებით უფრო მეტი მატყლი, ხორცი, დაკლული ფრინველი, ვიდრე შარშან.

მეცხოველეობისაგან ნახევარ მილიონ მანეთამდე შემოსავალი მიიღეს ბლიზნეშჩოვსკის რაიონის „პრავდის“ სახელობისა და კიროვის სახელობის კოლმეურნეობებმა, ხარკოვის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობამ, კოლმეურნეობა „შლიახ ლენინამ“ და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა.



მინგეჩაური. ჰიდროელექტროსადგურის კაშხალის ხედი.

ფოტო გ. დანიელიანცისა.

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები

სსრ კავშირის კონსტიტუციის 34 მუხლისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 24 და 26 მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 11 იანვრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ტერიტორიაზე შექმნილია კავშირის საბჭოს არჩევნების 700 საარჩევნო ოლქი.

საქართველოს სს რესპუბლიკაში შექმნილია შემდეგი საარჩევნო ოლქები:

საქართველოს სსრ

624. **თბილისის — სტალინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. თბილისი, სტალინის რაისაბჭო).

ქ. თბილისის რაიონები: ლენინის, სტალინის, 26 კომისრის სახელობის და მოლოტოვის სახელობისა.

625. **თბილისის — კალინინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. თბილისი, კალინინის რაისაბჭო).

ქ. თბილისის რაიონები: ორჯონიკიძის, კიროვის, კალინინისა და სასოფლო რაიონები: მარნეულის, დმანისის და ბოლნისისა.

626. **თბილისის სასოფლო საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. თბილისი).

ქ. რუსთავი, ქ. თბილისის გარეუბნის რაიონი და სასოფლო რაიონები: კასპის, დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, საგარეჯოს, გორდაბნის, მცხეთის და თეთრი წყაროსი.

627. **სუხუმის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. სუხუმი).

აფხაზეთის ასსრ.

628. **ბათუმის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ბათუმი).

ქ. ბათუმი და რაიონები: ბათუმის, ქედის, ქობულეთის, ხულოს, მახარაძის, ჩოხატაურის და შუახევისა.

629. **ფოთის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ფოთი).

ქ. ფოთი გარეუბნებით და რაიონები: ქლუხორის, ზუგდიდის, მესტიის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის და ცხაკაიასი.

630. **სამტრედიის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. სამტრედია).

რაიონები: სამტრედიის, გეგეჭკორის, აბაშის, წულუკიძის, ლანჩხუთის და ვანისა.

631. **ქუთაისის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ქუთაისი).

ქ. ქუთაისი და რაიონები: ქუთაისის, ლენტეხის, ცაგერის, ამბროლაურის, ტყიბულის, ონის და წყალტუბოსი.

632. **ჭიათურის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ჭიათურა).

ქ. ჭიათურა და რაიონები: თერჯოლის, ზესტაფონის, ჭიათურის, ორჯონიკიძის, მაიაკოვსკის და საჩხერისა.

633. **ბორჯომის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ბორჯომი).

რაიონები: ბორჯომის, ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის და წალკისა.

634. **გორის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. გორი).

ქალაქები გორი, სტალინირი და რაიონები: გორის, სტალინირის, ლენინგორის, ზნაურის, ჯავის, ხაშურის და ქარელისა.

635. **თელავის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. თელავი).

რაიონები: ლაგოდეხის, სიღნაღის, ყვარლის, თელავის, გურჯაანის, წითელწყაროს, ახმეტის და კაჭრეთისა.

* * *

სსრ კავშირის კონსტიტუციის 35 მუხლის და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 25 და 26 მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 11 იანვრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ტერიტორიაზე შექმნილია ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 631 საარჩევნო ოლქი.

საქართველოს სს რესპუბლიკაში შექმნილია შემდეგი საარჩევნო ოლქები:

საქართველოს სსრ

126. **სუხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. სუხუმი).

ქ. სუხუმი და რაიონები: გაგრის და გუდაუთისა.

127. **სუხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. სუხუმი).

ქ. ტყვარჩელი და რაიონები: სუხუმის, ოჩამჩირის და გულრიფშისა.

128. **ფოთის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ფოთი).

ქ. ფოთი გარეუბნებით და რაიონები: ცხაკაიას, ხობის და აბაშისა.

129. **ზუგდიდის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ზუგდიდი).

რაიონები: ზუგდიდის, გალის, მესტიის და ქლუხორისა.

130. **გეგეჭკორის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფ. გეგეჭკორი).

რაიონები: გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის და წულუკიძისა.

131. **ჩოხატაურის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — დ. ჩოხატაური).

რაიონები: მახარაძის, ქობულეთის და ჩოხატაურისა.

132. **ბათუმის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ბათუმი).

ქ. ბათუმი და რაიონები: ბათუმის, ქედის, ხულოს და შუახევისა.

133. **სამტრედიის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. სამტრედია).

რაიონები: სამტრედიის, ლანჩხუთის და ვანისა.

134. **ზესტაფონის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ზესტაფონი).

რაიონები: ზესტაფონის, თერჯოლის და მაიაკოვსკისა.

135. **ქუთაისის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ქუთაისი).

ქ. ქუთაისი და რაიონები: ქუთაისის და წყალტუბოსი.

136. **ამბროლაურის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — დ. ამბროლაური).

რაიონები: ამბროლაურის, ტყიბულის, ონის, ცაგერის და ლენტეხისა.

137. **ჭიათურის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ჭიათურა).

ქ. ჭიათურა და რაიონები: ჭიათურის, ორჯონიკიძის და საჩხერისა.

138. **ხაშურის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ხაშური).

რაიონები: ხაშურის, ბორჯომის და ქარელისა.

139. **ახალციხის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ახალციხე).

რაიონები: ახალციხის, ასპინძის და ადიგენისა.

140. **ახალქალაქის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ახალქალაქი).

რაიონები: ახალქალაქის, ბოგდანოვკის და წალკისა

141. **გორის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. გორი).

ქ. გორი და რაიონები: გორის და კასპისა.

142. **სტალინირის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. სტალინირი).

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

143. **თბილისის — ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. თბილისი, ორჯონიკიძის რაისაბჭო).

ქ. თბილისის რაიონები: ორჯონიკიძის და კალინინისა და თეთრი წყაროს სასოფლო რაიონი.

144. **თბილისის საქალაქო საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. თბილისი, კიროვის რაისაბჭო).

ქ. თბილისის რაიონები: კიროვის და გარეუბნისა და მცხეთის სასოფლო რაიონი.

145. **თბილისის — სტალინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. თბილისი, სტალინის რაისაბჭო).

ქ. თბილისის სტალინის რაიონი და სასოფლო რაიონები: ბოლნისის და დმანისისა.

146. **თბილისის — 26 კომისრის სახელობის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. თბილისი, 26 კომისრის სახელობის რაისაბჭო).

ქ. თბილისის რაიონები: 26 კომისრის სახელობის და მოლოტოვის სახელობისა და მარნეულის სასოფლო რაიონი.

147. **თბილისის — ლენინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. თბილისი, ლენინის რაისაბჭო).

ქ. თბილისის ლენინის რაიონი და სასოფლო რაიონები: ყაზბეგის და დუშეთისა.

148. **თელავის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. თელავი).

რაიონები: თელავის, ყვარლის, თიანეთის და ახმეტისა.

149. **სიღნაღის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. სიღნაღი).

რაიონები: სიღნაღის, ლაგოდეხის და წითელწყაროსი.

150. **გურჯაანის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. გურჯაანი).

ქ. რუსთავი და რაიონები: გურჯაანის, საგარეჯოს, გარდაბნის და კაჭრეთისა.

* * *

სსრ კავშირის კონსტიტუციის 35 მუხლის და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 25 და 26 მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 11 იანვრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ტერიტორიაზე შექმნილია ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 631 საარჩევნო ოლქი.

აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში შექმნილია შემდეგი საარჩევნო ოლქები:

აფხაზეთის ასსრ

401. **გაგრის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. გაგრა).

გაგრის რაიონი (ქ. გაგრა და სასოფლო საბჭოები: სალხინოს, ნაკადულის, ნაუფფსის, კაკლიანის, დაბის, ბაღნარის, განთიადის და ლესელიძისა).

402. **კალდახვარის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ს. კალდახვარა).

რაიონები: გაგრის (სასოფლო საბჭოები: ლძაანის, გზიფის, ალახაძის, კოლხიდის) და გუდაუთისა (სასოფლო საბჭოები: აგარაკის, კალდახვარის, ჯირხვის, ბლაბურხვის, ოთხარის, მუგუძირხვის, ზვანდრიფშის, ლიხნის, ბარმიშის, ხოფის, ახალსოფლის და დურიფშისა).

403. **გუდაუთის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. გუდაუთა).

გუდაუთის რაიონი (ქ. გუდაუთა და სასოფლო საბჭოები: აბღარხუქის, ააცის, ანუხვის, მეორე ანუხვის, აჭანდარის, ბამბორის, პრომორსკოეს, ყუღანურხვის, მწარის, ფსირცხისა და სადაბო საბჭო ახალი ათონი).

404. **სუხუმის — ლენინის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. სუხუმი).

ქ. სუხუმის მარცხენა ნაწილი ლენინისა და ბარათაშვილის ქუჩების საზღვრებში.

405. **სუხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. სუხუმი).

ქ. სუხუმის მარჯვენა ნაწილი ლენინისა და ბარათაშვილის ქუჩების საზღვრებში.

406. **სუხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. სუხუმი).

სუხუმის რაიონი.

407. **გულრიფშის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ს. დრანდა).

გულრიფშის რაიონი.

408. **ოჩამჩირის საქალაქო საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ოჩამჩირე).

ოჩამჩირის რაიონი (ქ. ოჩამჩირე და სასოფლო საბჭოები: აძუბჟის, არაკიჩის, ათარის, მეორე ათარის, ჯგერდის, ახალდაბის, ღვადის, ქოჩარის, კვიტოულის, ახალკინდღის, ჭლოუს, კინდღის, ტამიშის, ლაბრის, მოქვის და ცაგურასი).

409. **ოჩამჩირის სასოფლო საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ოჩამჩირე).

ოჩამჩირის რაიონი (სასოფლო საბჭოები: ვარდისუბნის, ბესლახუბის, ილორის, ოხურეს, ფოქვეშის, აკვასკის, მერკულის, ჯალის, თხინის, ოტაფის, არასაძიხის, გუფის, ზემო ბედიის, აგუბედიის და რეკისა);

გალის რაიონი (სასოფლო საბჭოები: გუდავის, აჩიგვარის, ბედიის, ჩხონთოლის და წარჩისა).

410. **ტყვარჩელის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ტყვარჩელი).

ქ. ტყვარჩელი.

411. **გალის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. გალი).

გალის რაიონი (ქ. გალი და სასოფლო საბჭოები: რეფოშეშელეთის, ხუმუშქურის, ქვემო ბარღების, ზემო ბარღების, გაგიდის, ოტობაიის, ფიჩორის, ნაბაკევის, ტაგილონის, სიდის, განახლების, ჭუბურხინჯის, საბერიოს, ლეკუხონის, რეჩხი-ცხირის, დიხაზურგის, ღუმურიშის, ოქუმის, მუხურის, ნარინჯოვანის და მზიურისა).

აჭარის ასსრ

412. **ბათუმის — შაუმიანის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ბათუმი).

ქ. ბათუმის ნაწილი შემდეგ საზღვრებში — ზღვისპირის ქუჩა, მოლოტოვის ქუჩის ლუწი ნომრები, შაუმიანის ქუჩის კენტი ნომრები, ზღვის ნაპირი.

413. **ბათუმის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ბათუმი).

ქ. ბათუმის ნაწილი შემდეგ საზღვრებში — შაუმიანის ქუჩის ლუწი ნომრები, ზღვის ნაპირი რკინიგზის ჩიხამდე ხრეშის კარიერზე და მოლოტოვის ქუჩის ლუწი ნომრები.

414. **ბათუმის — ფრუნზეს საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ბათუმი).

ქ. ბათუმის ნაწილი შემდეგ საზღვრებში ზღვისპირის ქუჩა, ფრუნზეს ქუჩის ლუწი ნომრები, მოლოტოვის ქუჩის კენტი ნომრები რკინიგზის ჩიხამდე ხრეშის კარიერზე, ქალაქის ხაზი.

415. **ბათუმის — ზღვისპირის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ბათუმი).

ქ. ბათუმის ნაწილი შემდეგ საზღვრებში — ფრუნზეს ქუჩის კენტი ნომრები (ჩათვლით), ზღვის ნაპირი, ქალაქის ხაზი.

416. **ქობულეთის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ქ. ქობულეთი).

ქობულეთის რაიონი (ქ. ქობულეთი და სასოფლო საბჭოები: მუხაესტატეს, ლელვას, ქაქუთის, ქობულეთის, ჭახათის და აჭყვისთავისა).

417. **ჩაქვის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ს. ჩაქვი).

ქობულეთის რაიონი (სასოფლო საბჭოები: ჩაქვის, ხალას, ბობოყვათის, კვირიკეს, ხუცუბნის და ციხისძირისა).

418. **ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ს. ხელვაჩაური).

ბათუმის რაიონი (სასოფლო საბჭოები: ხელვაჩაურის, გონიოს, თხილნარის, აჭარისწყლის, კირნათის, აჭარისაღმართის და სარფისა).

419. **ურეხის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ს. ურეხი).

ბათუმის რაიონი (სასოფლო საბჭოები: ურეხის, ახალშენის, ჩაისუბნის, მახინჯაურის და კახაბრისა).

420. **ქედის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ს. ქედა).

ქედის რაიონი.

421. **ხულოს საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ს. ხულო).

ხულოს რაიონი.

422. **შუახევის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ს. შუახევი).

შუახევის რაიონი.

* * *

სსრ კავშირის კონსტიტუციის 35 მუხლის და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 25 და 26 მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 11 იანვრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ტერიტორიაზე შექმნილია ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 631 საარჩევნო ოლქი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შექმნილია შემდეგი საარჩევნო ოლქები:

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

617. **სტალინირის საქალაქო საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—ქ. სტალინირი).

ქ. სტალინირი და სტალინირის რაიონი (სასოფლო საბჭოები: ქურთის და ხეთაგურისა).

618. **სტალინირის სასოფლო საარჩევნო ოლქი** (ცენტრი—ქ. სტალინირი).

სტალინირის რაიონი (სასოფლო საბჭოები: ძარის, ქემერტის, არცევის, ბელოთის, ბიყარის, ვანათის, ღრომის, ბერულის, ქსუისის და გერისა)

619. **ზნაურის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — სოფ. ზნაური).

ზნაურის რაიონი.

620. **ლენინგორის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ს. ლენინგორი).

ლენინგორის რაიონი.

621. **ჯავის საარჩევნო ოლქი** (ცენტრი — ს. ჯავა).

ჯავის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ინფორმაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინებით დაამტკიცა რუსეთის სფსრ შემადგენლობაში შემდეგი ახალი ოლქების შექმნა: **არზამასის** ოლქისა ცენტრით ქალაქ არზამასში, **ბალაშოვის** ოლქისა ცენტრით ქალაქ ბალაშოვში, **ბელგოროდის** ოლქისა ცენტრით ქალაქ ბელგოროდში, **კამენსკის** ოლქისა ცენტრით ქალაქ კამენსკ-შახტინსკში და **ლიპეცკის** ოლქისა ცენტრით ქალაქ ლიპეცკში.

აღნიშნული ოლქები იქმნება გორკის, სარატოვის, ვორონეჟის, სტალინგრადის, ტამბოვის, კურსკის, როსტოვის, ორიოლისა და რიაზანის ოლქების დაყოფით.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინებით დაამტკიცა უკრაინის სსრ შემადგენლობაში ჩერკასის ოლქის შექმნა ცენტრით ქალაქ ჩერკასში.

ჩერკასის ოლქი იქმნება კიევის, პოლტავის, კიროვოგრადისა და ვინიცის ოლქების რაიონების ნაწილისაგან.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება **იმის** შესახებ, რომ გაუქმდეს ბელორუსიის სს რესპუბლიკის ბარანოვიჩის, ბობრუისკის, პინსკის, პოლესიეს და პოლოცკის ოლქები და ამ ოლქების ქალაქები და რაიონები შეყვანილ იქნას **ბრესტის, გომელის, გროდნოს, მინსკის, მოლოდეჩნოს, მოგილიოვისა** და **ვიტებსკის** ოლქების შემადგენლობაში.

გადაჭრით გავაძლიეროთ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდა

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი ყრილობა. ყრილობამ მოისმინა და განიხილა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის საანგარიშო მოხსენება. აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება საანგარიშო პერიოდში — ექვსი წლის განმავლობაში, გაიზარდა დიდ ძალად, გადაიქცა მასობრივ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო ორგანიზაციად, რომელმაც თვალსაჩინო მუშაობა გასწია მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

საზოგადოება თავის რიგებში აერთიანებს 3.399 ნამდვილ წევრს, 1.863 წევრ-მოხალისეს და 82 წევრ-კოლექტივს. საზოგადოების წევრთა შორის არიან რესპუბლიკის გამოჩენილი მეცნიერი მუშაკები, აკადემიკოსები, პროფესორები, მეცნიერების კანდიდატები, ავორნომები, ექიმები, მასწავლებლები, ინჟინრები, კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები.

საზოგადოების წევრთა ძალებით საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის წაკითხულია 55.912 ლექცია, რომლებიც მოისმინა 4.610 ათასმა კაცმა. საზოგადოება თავის მუშაობაში დიდ ადგილს უთმობდა საგამომცემლო საქმიანობას. გამოცემულია 172 ლექცია, რომელთა ტირაჟია 1.539 ათასი ეგზემპლარი. საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონულ განყოფილებათა ძალებით წაკითხულია ათეულ ათასობით ლექცია.

მაგრამ, როგორც მომხსენებელმა და მოკამათეებმა აღნიშნეს, იგი ჯერ კიდევ ჩამორჩება მის წინაშე მდგომ ამოცანებს, ხალხის მასების მზარდ მოთხოვნებს. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ლექციური და ბეჭდვითი პროპაგანდის მიზანდასახულობას. საკმარისი რაოდენობით არ იკითხება ლექციები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი, წარმმართველი როლის შესახებ, მატერიალური დოვლათის შემქმნელის — ხალხის მასების გადამწყვეტი როლის შესახებ ისტორიაში, კომუნიზმის მშენებელი ხალხის შემოქმედებითი შრომის შესახებ. საკმაოდ არ იკითხება ლექციები აგრეთვე სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შესახებ, მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიღწევებზე.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ საზოგადოების მუშაობის გარდაქმნა პარტიის XIX ყრილობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადწყვეტილებათა შესაბამისად ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამ გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე საკითხებზე ცოტა ლექციებია წაკითხული. მაგალითად, პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ დასახულ ამოცანებთან დაკავშირებით 476 ლექცია მოეწყო, მაშინ როცა რესპუბლიკაში 2.061 კოლმეურნეობა და 104 მანქანა-ტრაქტორთა სადგურია. გასულ წელს საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და კოლმეურნეობებში მხოლოდ 1.033 ლექცია მოეწყო. ლექციები საკმაოდ არ იკითხება მეცხოველეობის, მებოსტნეობის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესის და სოფლის მეურნეობის სხვა აქტუალურ საკითხებზე.

აგრეთვე საათანადო ყურადღება არ ეთმობა სამრეწველო საწარმოებისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილების გავრცელებას. საზოგადოებას არ დაუმუშავებია ლექციები, რომლებშიც გამუქებული იქნებოდა ჩვენი მრეწველობისა და საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორთა წარმატებანი. საკმაო ყურადღება არ ექცეოდა საზოგადოების წევრთა მიერ ლექციების წაკითხვას საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, ხოლო დაშორებულ რაიონებში რესპუბლიკის ცენტრიდან იშვიათად იგზავნებოდა გამოჩენილი მეცნიერები, პაღალკვალიფიციური ლექტორები.

ლექციების ხარისხის გაუმჯობესების, მათი იდეური დონის ამაღლებისათვის არ წარმოებდა სათანადო ბრძოლა. ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე წაკითხული ლექციები ხშირად მოწყვეტილი იყო თანამედროვეობისაგან, იგი უმთავრესად საქართველოს შორეულ წარსულს ეხებოდა. ზოგიერთ ლექციაში დაშვებულია იდეალისტურ-სუბიექტივისტური შეცდომები, დაძლეული არ იყო დოგმატიზმი, მედავითნეობა. ლექციები მჭიდროდ არ უკავშირდება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს. ლექტორები იშვიათად იყენებენ რესპუბლიკის საწარმოებიდან, მტს-ებიდან და კოლმეურნეობებიდან აღებულ ცოცხალ ფაქტებსა და მაგალითებს.

საზოგადოების ლექციური პროპაგანდის ერთ-ერთი ნაკლი ისიც არის, რომ მკრთალად შუქდება რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის ისტორიული მეგობრობა, მოწინავე რუსული კულტურის კეთილნაყოფიერი გავლენა.

ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩამორჩენილია აგრეთვე საბუნებისმეტყველო და მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის, მიჩურჩულული ბიოლოგიისა და აგრობიოლოგიის, პავლოვის მოძღვრების პროპაგანდა მასებში.

ლექციური პროპაგანდის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ლექტორიუმების მუშაობას. მაგრამ, როგორც ყრილობაზე ითქვა, რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და დაწესებულებებში ლექტორიუმები საკმაო რაოდენობით არ არის მოწყობილი, ხოლო არსებულ ლექტორიუმთა უმრავლესობა სუსტად მუშაობს.

საზოგადოების მთელი რიგი განყოფილებები ვერ დგანან მოწოდების სიმაღლეზე. განსაკუთრებით სუსტად მუშაობენ ბოგდანოვკის, დუშეთის, ყაზბეგის, ქლუხორის, გარდაბნის და სხვა რაიონული განყოფილებები. საზოგადოების რესპუბლიკურ გამგეობასთან 19 სექცია არსებობს. მაგრამ მათს მუშაობაში ერთგვარ მიღწევებთან ერთად არის სერიოზული ნაკლოვანებებიც. ამ საკითხს მიუძღვნეს თავიანთი სიტყვები ლიტერატურისა და ხელოვნების სექციის ბიუროს თავმჯდომარემ პროფესორმა გ. ახვლედიანმა, ფილოსოფიის სექციის ბიუროს თავმჯდომარემ ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ქუთელიამ, ისტორიის სექციის ბიუროს თავმჯდომარემ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. აფაქიძემ, ეკონომიური სექციის ბიუროს თავმჯდომარემ ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ნუცუბიძემ და სხვებმა. აღინიშნა, რომ სექციებმა ვერ შეძლეს საზოგადოების წევრთა აქტიურად ჩაბმა სალექციო მუშაობაში. გასულ წელს საზოგადოების წევრთა მხოლოდ 26 პროცენტი გამოდიოდა ლექციებით. ამასთან ზოგჯერ ლექციებს კითხულობდნენ ნაკლებკვალიფიციური ლექტორები, ხოლო ცნობილი სპეციალისტები, გამოჩენილი მეცნიერები იშვიათად მონაწილეობდნენ სალექციო საქმიანობაში. მოკამათეებმა აღნიშნეს აგრეთვე სექციებისადმი საზოგადოების გამგეობის სუსტი ხელმძღვანელობა და მოითხოვეს მეტი დახმარება. ამასთან მიუთითეს, რომ საჭიროა მომავალში მეტი ყურადღება მიექცეს ლექციების კითხვის დროს თვალსაჩინო მასალების გამოყენებას, მეცნიერულ-პოპულარული, მეცნიერულ-ტექნიკური და სხვა ფილმების ჩვენებას.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის აქტუალურ საკითხებზე ლექციების მეტი რაოდენობით მოწყობისა და ლექციური პროპაგანდის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ ილაპარაკეს საზოგადოების აჭარის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ პროფესორმა გ. ხეჩინაშვილმა, სამხრეთ ოსეთის საოლქო განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ვ. სანაკოევმა და მახარაძის რაიონული განყოფილების თავმჯდომარემ ნ. წიტაშვილმა. მათ აგრეთვე აღნიშნეს, რომ განყოფილებებს ლექციური მუშაობის გაჩაღებაში დიდად შეუწყობს ხელს რესპუბლიკის ცენტრიდან ლექტორების სისტემატურად მიგზავნება რაიონებში. ამ საქმეს კი საზოგადოების გამგეობა დღემდე ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს. ამასთან აღინიშნა, რომ ლექტორთა გაგზავნა სოფლად ზოგჯერ კამპანიურ ხასიათს იღებს. მაგალითად, მახარაძის რაიონში ლექტორები მიდიან ზაფხულობით, საკურორტო სეზონის დროს; ასევე ბორჯომში და სხვაგან.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ბანძელაძემ ილაპარაკა იმაზე, რომ აუცილებელია გაძლიერდეს ლექციური პროპაგანდა განსაკუთრებით სოფლად, რომ საჭიროა კომკავშირულ ორგანიზაციებსა და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას შორის მჭიდრო პრაქტიკული ურთიერთობა არსებობდეს ლექციური პროპაგანდის საქმეში.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პროფესორმა ვ. ასათიანმა, პროფესორმა რ. აგლაძემ, საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა ამხ. ვ. ხატიაშვილმა, რუსთავის საქალაქო განყოფილების თავმჯდომარემ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ოვადოვსკიმ და სხვებმა.

ყრილობაზე სიტყვები წარმოთქვეს საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წარმომადგენელმა ამხ. ა. ეიგულოვმა, უკრაინის სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წარმომადგენელმა პროფესორმა თ. ენევიჩმა და სომხეთის სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წარმომადგენელმა ამხ. ვ. კალაშიანმა.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეკავანაძემ.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ამხ. დ. ზ. რომელაშვილმა და ამხ. ვ. მ. ჩხიკვაძემ.

ყრილობამ დასახა მომავალი მუშაობის ღონისძიებანი. ყრილობამ აირჩია საზოგადოების გამგეობის და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე სსრ კავშირის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მეორე ყრილობის დელეგატები.

* * *

შედგა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის პლენუმი. პლენუმმა გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, თავმჯდომარის მოადგილეებად — პროფესორები დ. ენუქიძე, ი. ჯაში და ე. ბურჭულაძე, ხოლო პასუხისმგებელ მდივნად—ამხ. შ. ნემსაძე.

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი ყრილობა

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ჩამორჩენილი სასოფლო საბჭოები“

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტის“ გასული წლის 25 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, სადაც გაკრიტიკებული იყო სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მუშაობა.

აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით სამტრედიის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. საკითხი განიხილა რაისაბჭოს აღმასკომმა და ღანირის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. კ. ლიფარიშვილს და მდივანს ამხ. ე. ჯოჯუას ნაკლოვანებების გამო მითითება მისცა.

რაისაბჭოს აღმასკომმა დასახა ღონისძიებანი ღანირის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ციტრუსოვანთა გამოზამთრება საფრთხეშია

ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობაში ციტრუსოვან კულტურებს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. საკმარისია ითქვას, რომ ამ კულტურებს 6.000 ჰექტარი ფართობი უკავია. მარტო შარშან რაიონში გაშენდა 1.000 ჰექტარზე მეტი ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციაა. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე მოსავლიანობა. გასულ წელს რაიონში მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 125 მილიონი ცალი ნაყოფი ნაცვლად 1952 წელს მიღებული 84 მილიონი ცალისა.

აჭარის სუბტროპიკულ რაიონებში მიმდინარე ზამთარი ჩვეულებრივზე ბევრად ადრე დადგა, გასული წლის ნოემბრის მეორე ნახევარში თოვლი მოვიდა.

ადრეულმა ზამთარმა მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოუმზადებელს მოუსწრო. ამის გამო თოვლმა და ყინვებმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ციტრუსოვანთა პლანტაციებს, განსაკუთრებით ახალგაზრდა მცენარეებსა და სანერგე მეურნეობებს.

თუ რაოდენ ჩამორჩა რაიონში ციტრუსოვანთა გამოზამთრების სამუშაოები, საკმარისია ითქვას, რომ 4.922 ათასი ძირიდან მიწა შემოყრილი აქვს მხოლოდ 773 ათას ძირს. სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი ნარგავების შეფუთვის სამუშაოები. გეგმით გათვალისწინებული 117 ათასი ძირიდან შეფუთულია 33.409 ძირი. განსაკუთრებით დაუდევრობა გამოიჩინა ამ საქმეში ხალის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ. აქ 166 ათასი ძირიდან მიწა შემოყრილი აქვს 20.200 ძირს, ხოლო 20 ათასი ძირიდან შეფუთულია 3.700 ძირი. უფრო მეტიც, 12.000 ძირი სტანდარტული ლიმონის ნერგი გარეთ დატოვეს, თუმცა ფარდული გვერდით იდგა და საჭირო იყო მხოლოდ მისი ცოტაოდენი შეკეთება.

ამასთან როგორც სტანდარტული, ისე არასტანდარტული ნერგები, რომლებიც დაახლოებით 40.000 ძირი იყო, ცის ქვეშ დატოვეს და კვლებიც არ გაწმინდეს, რის გამო შიგ წყალი ჩადგა და ნარგავები საგრძნობლად დაზიანა. მსგავსი მდგომარეობაა ციხისძირის სტალინის სახელობის, სოფელ კვირიკეს „კომუნისტის“ სახელობის, შვერნიკის სახელობის და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაში.

რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში აჭიანურებენ ახალგაზრდა ნარგავებისათვის მიწის შემოყრას. სოფელ ზედა ულიანოვკის სტურუას სახელობის კოლმეურნეობაში 31 ათასი ძირი, კოლმეურნეობა „აჭარაში“ — 41.286, სოფელ ჭახათის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში — 4.057 და სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში — 114.900 ძირი ახალგაზრდა ნარგავები მიწაშემოუყრელია და ამით მათი გამოზამთრება საფრთხეში ჩააყენეს.

ის გარემოება, რომ ზოგან არც ერთი ძირი ნარგავი არ შეფუთეს და საერთოდ ციტრუსოვანთა გამოზამთრებისათვის სჭირო სხვა სამუშაოები ან სულ არ ჩაატარეს ან ნაუცბათევად მოაწყეს, ამტკიცებს, რომ კოლმეურნეობათა გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ზერელედ მოეკიდნენ ციტრუსოვანთა გამოზამთრების საქმეს, ხოლო რაიონულმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა თავის დროზე არ შეამოწმეს ამ სამუშაოთა მიმდინარეობა და არ მიიღეს ქმედითი ზომები.

ქობულეთის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ასეთი დამოკიდებულება ციტრუსების გამოზამთრებისადმი სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებს ძვირფას კულტურებს.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

** კიევი.** ბოგდან ხმელნიცკის სახელობის მოედანი და ძეგლი, რომელსაც ამ დღეებში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მრავალი ექსკურსანტი ნახულობს.

ფოტო ხ. დავიდზონისა.

კიევის ამბები

დონბასი-კუზბასი

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად ფართოვდება ჩვენი სამშობლოს ქვანახშირის მრეწველობის ორი უდიდესი რაიონის — დონბასისა და კუზნეცკის მეშახტეთა თანამეგობრობა და უკეთესი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის სოციალისტური შეჯიბრება.

უკრაინელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად კუზბასელებთან შეჯიბრების ინიციატორმა დონეცის № 40 შახტის — „კურახოვკის“ კოლექტივმა სამშობლოს უკვე მისცა იანვრის პირველი ნახევრის გეგმით გათვალისწინებული ქვანახშირი.

მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტები

უკრაინის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებში აღმოჩენილია ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლებიც მოგვითხრობენ პერეიასლავის რადის დროინდელ ამბებს. აღმოჩენილ იქნა ბოგდან ხმელნიცკის „უნივერსალები“ და ერთი დრამატული ნაწარმოები, მიძღვნილი ბოგდან ხმელნიცკისადმი. ნაწარმოების ავტორი ცნობილი არ არის.

ერთ-ერთ დოკუმენტში დაწვრილებით არის აღწერილი რუსეთთან უკრაინის შეერთების აქტის მიღება პერეიასლავის რადის დროს. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ აქტის მიღება უკრაინის ხალხმა უდიდესი აღფრთოვანებით დაადასტურა.

ექსკურსიები ზოგიერთი ქალაქებიდან

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან და რეპუბლიკებიდან კიევში ყოველდღე მოდიან ექსკურსანტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები და შემოქმედებითი კოლექტივები, რომლებიც ათვალიერებენ კიევის ისტორიულ ადგილებს, აგრეთვე რუს ხალხთან უკრაინელი ხალხის შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებულ ადგილებს — ქალაქ პერეიასლავ-ხმელნიცკის, ქალაქ ჩიგირინს, რომელიც ბოგდან ხმელნიცკის რეზიდენცია იყო, და იქვე სოფელ სუბოტოვოს, სადაც დაკრძალულია ხმელნიცკი.

მხატვარ მარინინსტეგის ნაწარმოებთა გამოფენა

უკრაინის ხაბჭოთა მწერლების კლუბის დიდ დარბაზში გაიხსნა მხატვარ მარინინსტეგის ნამუშევართა მესამე გამოფენა, მიძღვნილი უკრაინის ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულისადმი.

გამოფენაზე წარმოდგენილია 200 მხატვრული ტილო. მათ შორის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების, სტალინური პრემიის ლაურეატების მხატვრების ვ. პუზირკოვის და მ. მელნიკოვის ნამუშევრები, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მხატვარ მ. გლუშენკოს მიერ შესრულებული დიდი მხატვრული ტილო, მხატვრების — ო. ბიზიუკოვის, ხ. დოროშენკოს, დ. შევიკინის, გ. სოკირჩინსკის ნაწარმოებნი.

ახალი საფოსტო მარკები

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად კიევის მთავარი ფოსტამტის დაკვეთით გამოშვებულია მაღალმხატვრულად შესრულებული საფოსტო მარკები. მარკებზე გამოსახულია საბჭოთა ხალხის ურღვევი მეგობრობის სურათები.

ჟ. კიევი, 10 იანვარი.

ქართველი ჩაპაევები

ვ. ი. კიკვიძის გარდაცვალების 35 წლისთავი

ვასილ ისიდორეს-ძე კიკვიძე, ლეგენდარული მე-16 დივიზიის მამაცი მეთაური! ეს სახელი დაიბადა იმ წლებში, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანამ შინაურ და გარეშე მტრებთან გააფთრებულ ბრძოლაში დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა.

მას კარგად იცნობენ კავკასიის ხალხები, უკრაინის, დონის, ვოლგისპირეთის და ჩვენი დიადი ქვეყნის სხვადასხვა მხარის ადამიანები.

კაცი-ლეგენდა — ასე ახასიათებენ ვ. ი. კიკვიძეს სამოქალაქო ომის მძიმე ბრძოლებში მასთან ნამყოფი ჯარისკაცები და მეთაურები. და ახლა, როგორც ცოცხალი, ისე წარმოგვიდგება ამ იშვიათი ადამიანის, შესანიშნავი მებრძოლი მეთაურის დაუვიწყარი სახე.

კიკვიძე იმ სახალხო გმირების მწკრივში დგას, რომელთა სახელებიც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი პროლეტარული რევოლუციის ისტორიის ფურცლებზე და რომლებსაც ეკუთვნიან ისეთი ადამიანები, როგორიც იყვნენ: ჩაპაევი, შჩორსი, ლაზო, პარხომენკო, კოჩუბეკი.

გმირული მე-16 დივიზიისა და მისი მამაცი უფროსის ვ. ი. კიკვიძის ისტორია ამაღელვებელი ნაწარმოებია საოქტომბრო ომის, ცეცხლოვანი დღეების შესახებ, მებრძოლთა და მეთაურთა გმირობის შესახებ, რომელნიც თავდადებულად იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ქართველი გლეხის შვილს კიკვიძეს მთელი გატაცებით უყვარდა მშრომელი ხალხი, და დიდადაც აფასებდა ხალხის სიყვარულს მისდამი. მას ხშირად ნახავდით გლეხებთან მოსაუბრეს. დაიკავებდა თუ არა დივიზია რომელიმე სოფელს, კიკვიძეს მშინვე გარსშემოერტყმოდნენ გლეხები. იგი მათ უამბობდა იმის შესახებ, თუ რისთვის იბრძოდა წითელი არმია. — ჩვენ ვიბრძვით, — ამბობდა ვასილ ისიდორეს-ძე, — საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მუშებისა და გლეხების ინტერესებისათვის, მათი ბედნიერი ცხოვრებისათვის.

კიკვიძეს უყვარდა მხიარულება. ვერ იტანდა წუწუნა, ერთთავად პირმოღუშულ ადამიანებს. მაშინაც კი, როცა იჭრებოდა ბრძოლაში, იგი არ კარგავდა მხიარულ განწყობილებას. დაჭრილი წყობილებიდან არასოდეს არ გამოდიოდა. იშვიათად ნახავდით, რომ ბინტი არ ჰქონოდა გაკეთებული. ხან თავი ჰქონდა შეხვეული, ხან მკლავი ჩამოკიდებული, ხან კოჭლობდა. იგი ცამეტჯერ იყო დაჭრილი...

ქარმეტნული ... ...

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების განვითარების შესახებ

პეკინი, 11 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „ჟენმინჟიბაო“ გამოაქვეყნა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების განვითარების შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ორმა წელმა, რამაც განვლო მას შემდეგ, რაც ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1951 წლის დეკემბერში მიიღო გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობაში ურთიერთდახმარებისა და კოოპერაციის შესახებ, დამტკიცა, რომ ამ გადაწყვეტილებით დასახული კურსი სწორია და სავსებით ემთხვევა პარტიის გენერალურ ხაზს, პარტიისა, რომელსაც ჩინელი ხალხი მიჰყავს სოციალიზმზე თანდათანობით გადასვლის გზით.

პარტიის გენერალური ხაზის თანახმად, სახელმწიფოს ეკონომიური მშენებლობის ამოცანები მოითხოვს არა მარტო სამრეწველო წარმოების აღმავლობას, არამედ აგრეთვე სოფლის მეურნეობის შესაბამის განვითარებას. მაგრამ ერთპიროვნული დაქუცმაცებული და ჩამორჩენილი გლეხური მეურნეობანი ზღუდავენ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარებას, და სოფლის მეურნეობასა და სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას შორის დღითიდღე სულ უფრო მკვეთრად იჩენს თავს მზარდი წინააღმდეგობა. წვრილი გლეხური მეურნეობა სულ უფრო მეტად ამტკიცებს თავის უუნარობას — დაკმაყოფილოს გლეხთა ფართო მასების მოთხოვნილებანი მათი ცხოვრების გაუმჯობესების მხრივ, აგრეთვე უუნარობას — დაკმაყოფილოს მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების მოთხოვნილებანი.

სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა შემდგომი ამაღლების მიზნით, აღნიშნულია დადგენილებაში, პარტიის ყველაზე ძირითადი ამოცანა სოფლად მუშაობაში ამჟამად არის: თვალსაჩინო მაგალითებით და მარტივი მეთოდებით აღზარდოს გლეხთა მასები და ხელი შეუწყოს მათს თანდათანობით გაერთიანებასა და ორგანიზაციას და თანდათანობით განახორციელოს სოციალისტური გარდაქმნები სოფლის მეურნეობაში. ეს საჭიროა იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობა ჩამორჩენილი წვრილსასაქონლო წარმოებიდან გადაიქცეს მოწინავე და მაღალნაყოფიერ კოოპერაციულ მეურნეობად, რათა თანდათანობით დაძლეულ იქნას დისპროპორცია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში და გლეხები სამუდამოდ განთავისუფლდნენ სიღარიბისა და სიღატაკისგან, აგრეთვე მიღწეულ იქნას ცხოვრების საერთო აყვავება და გაუჯობესება.

დადგენილებაში შემდეგ აღნიშნულია, რომ განვლილი რამდენიმე წლის მანძილზე წარმატებით განვითარდა მოძმაობა ურთიერთ დახმარებისა და კოოპერაციისათვის ჩინეთის სოფლებში. დღეისათვის ჩინეთში, „ნათქვამია დადგენილებაში, ურთიერთ დახმარების სეზონურ და მუდმივ ჯგუფებში, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივებში გაერთიანებულია 47.900 ათასზე მეტი გლეხური მეურნეობა, რაც შეადგენს ჩინეთის გლეხურ მეურნეობათა საერთო რიცხვის 43 პროცენტს. ჩინეთში 14 ათასზე მეტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივია და მათში 273 ათასზე მეტი გლეხური მეურნეობა შედის.

აღნიშნავს რა შემდეგ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე გამოვლინდა ურთიერთ დახმარების ჯგუფებისა და კოოპერატივების არა მარტო რიცხობრივი ზრდა, არამედ აგრეთვე მათი ხარისხობრივი ზრდა და რომ თანამედროვე მოძმაობაში კოოპერირებისათვის დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივები, დადგენილებაში ნათქვამია, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ყველა საფეხურის პარტიულმა კომიტეტებმა უფრო სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების განვითარებისადმი ხელმძღვანელობას კონკრეტული ადგილობრივი პირობების შესაბამისად და მიამზადონ პირობები კოოპერატივების თანდათანობით ორგანიზაციისა და გაფართოებისათვის, განუხრელად დაიცვან კურსი — „მოეწყოს კოოპერატივები მხოლოდ კარგად და არ მოეწყოს ცუდად“, აგრეთვე წაახალისონ შრომითი ურთიერთ დახმარებისა და ეკონომიურებისათვის მოძრაობის შემდგომი პროგრესი.

სოფლის მეურნეობის კოოპერირების განვითარება, ნათქვამია დადგენილებაში, უნდა განხორციელდეს ძირითადი პრინციპის — გლეხთა ნებაყოფლობის პრინციპის შესაბამისად. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წვრილი გლეხური ეკონომიკის სოციალისტური რეკონსტრუქციის განხორციელება ბრძანების წესით, შეუწყნარებელია კოოპერატივებში ღარიბი გლეხების ძალით გაერთიანება.

დადგენილებაში შემდეგ აღნიშნულია, რომ საჭიროა ხუთწლედის მანძილზე მომზადება სახელმწიფო მეურნეობებს, მტს-ებს, აგროტექნიკური, მანქანების გასაქირავებელი და მექანიზებული სარწყავი სადგურების შექმნისათვის და საჭიროა განვითარდეს მომმარაგებელ-გამსაღებელი და საკრედიტო კოოპერაცია, აგრეთვე იქ, სადაც პირობები მომწიფებული და შეიქმნას სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივები, ესე იგი კოლმეურნეობები.

საბერძნეთის დელეგაციის ნევრები საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ

ათენი, 10 იანვარი. (საკდესი). მას შემდეგ, რაც ათენს დაბრუნდა საბერძნეთის დელეგაცია, რომელიც მოსკოვში და სსრ კავშირის სხვა ქალაქებში იყო, ბერძნული გაზეთების უმრავლესობამ გამოაქვეყნა და კვლავ აქვეყნებს სტატიებს საბჭოთა კავშირის შესახებ. 1 იანვრისათვის გამოქვეყნებული იყო 150-ზე მეტი სტატია და ნარკვევი.

დელეგაციის წევრთა უმეტესობისათვის დამახასიათებელია ის, რომ მათ შეკრიბეს უზვი ფაქტიური მასალა საბჭოთა კავშირის შესახებ. ეს მათ საშუალებას აძლევს დაწერილებით გააშუქონ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების სხვადასხვა მხარე. მაგალითად, პროფესორმა კასიმატისმა დაწვრილებით უამბო ბერძენ მკითხველებს საბჭოთა კავშირის წარმატებანი სახალხო განათლების დარგში. „საბჭოთა კავშირში განათლების სისტემა ქმნის საბჭოთა ადამიანს. ამ სისტემამ ახალ თაობას განუმტკიცა მარქსიზმის სამართლის რწმენა. განათლების დარგში მიღწეული შედეგები განსაცვიფრებელია“.

აღზრდის თემას მიუძღვნა ვრცელი სტატია ეურნალისტმა კოცჯრიდასმა: საბჭოთა კავშირში „პირველი ადგილი უკავია ბავშვისათვის ზრუნვას. ჩვენ თვალყურს ვადევნებდით მას, როცა ლამაზ საწოლში ეძინა, ვხედავდით მას პიონერთა სასახლეებში, სადაც იგი ხატავს, ცეკვავს და ა. შ. ყველგან ჩანდა ზრუნვა მისი სწავლისათვის, გართობისათვის, კვებისა და კარგი ტანსაცმლისათვის. ბავშვის დაბადების დღიდან საბჭოთა სახელმწიფო კისრულობს მოვალეობას აღზარდოს მისგან საბჭოთა მოქალაქე, ჯანსაღი და განათლებული. მეფის რუსეთში მოსახლეობის 75 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ახლა წერა-კითხვის უცოდინარნი აღარ არიან. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, აქ უდიდესი პროგრესი აღინიშნება. ძველ რუსეთში 90 უმაღლესი სასწავლებელი იყო, ახლა 887 უმაღლესი სასწავლებელია“.

ბევრი სტატია მიძღვნილია საბჭოთა ადამიანის ხასიათის ჩვენებისადმი. ეურნალისტმა დროსოსმა ასე დაახასიათა საბჭოთა მოქალაქე: „რუსეთში ჩვენ გავეცანით საბჭოთა ადამიანს. ბევრ მათგანს სრულიად შემთხვევით შევხვდით. შემიძლია ვთქვა, რომ რუსი ადამიანი ზრდილობიანი, კულტურული და სტუმართმოყვარეა. საბჭოთა ადამიანზე საუკეთესო შთაბეჭდილება მივიღე. საბჭოთა ადამიანი, რომელიც მე გავიცანი, ღირსია სიყვარულისა“.

დელეგაციის ბევრმა წევრმა თავისი სტატია და რეპორტაჟი უძღვნა საბჭოთა ადამიანის მშვიდობისმოყვარეობას, საბჭოთა მთავრობის საშვიდობო პოლიტიკას. ამაზე, კერძოდ, წერს დროსოსი გაზეთ „ეთნოსში“.

გაზეთმა „ელეფთერიამ“ გამოაქვეყნა პროფესორ კასიმატისის სტატია, რომელშიც იგი ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის მშრომელთა ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლებასა და პარტიისა და მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე. „საბჭოთა კავშირში, — წერდა იგი, — გადამჭრელ ღონისძიებებს იღებენ ხალხის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 1950 წელთან შედარებით ფასები შემცირებულია 30 პროცენტით. ამ ხნის განმავლობაში ხელფასი არ შემცირებულა. ფიქრობენ, რომ 1955 წელს ცხოვრების დონე კიდევ 30 პროცენტით ამაღლდება“.

ინდოეთის ეროვნული კონგრესის მოღვაწე საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ

დელი, 11 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „ნეიშნლ ჰერალდი“ აქვეყნებს უტარ პრადეშის შტატის საკანონმდებლო კრების დეპუტატის (პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესისაგან) გოვინდ სახაის ინტერვიუს, რომელიც მან ამ გაზეთის კორესპონდენტს მისცა. გაუზიარა რა დამსწრეთ საბჭოთა კავშირსა და ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებანი, სახაიმ განაცხადა, რომ „რუს ხალხში იზრდება ინდოეთისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა. რუსებს მიაჩნიათ, რომ ინდოეთი და სსრ კავშირი ბუნებრივი მეგობრები არიან“.

სახაიმ აღნიშნა, რომ „ყველას, ვინც კი ინახულებს საბჭოთა კავშირს, შეუძლია დაინახოს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ყველა მხარე, აგრეთვე სოციალური და ეკონომიური პროგრესი“. აღნიშნა რა საბჭოთა კავშირის წარმატებანი სოფლის მეურნეობის დაგეგმვის დარგში, სახაიმ ხალხის კეთილდღეობის ზრდა, სახაიმ, დასასრულ, განაცხადა, რომ „ინდოეთის შეუძლია ჩინეთის მსგავსად გამოიყენოს რუსეთის გამოცდილება სოციალურ მეცნიერებათა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში“.

„ევროპის არმიის“ შექმნის წინააღმდეგ

პარიზი, 11 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სენის დეპარტამენტის ფედერაციის ბიურომ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომლითაც უერთდება დეპარტამენტის მშვიდობის საბჭოს გადაწყვეტილებას ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის“ შექმნის ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. საჭიროა, ნათქვამია კომუნიკეში, გადავლახოთ ყველა დაბრკოლება, რაც წინ ეღობება ყველა ფრანგი პატრიოტის ფართო ფრონტის შექმნას, რომელმაც ხელი უნდა შეუშალოს ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაციას. კომპარტიის ფედერაცია მოუწოდებს პარტიის წევრებს გაძლიერონ ახსნაგანმარტებითი მუშაობა დასავლეთ გერმანიის ხელახალი შეიარაღების ყველა მოწინააღმდეგეთა შორის და, კერძოდ, ამ მშრომელთა შორის, რომლებიც ემხრობიან სოციალისტურ პარტიასა და დე გოლის პარტიას — ფრანგი ხალხის გაერთიანებას.

გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ გუშინ ალბში (ტარნის დეპარტამენტი) გაიმართა სახალხო კრება, რომელიც მიმდინარეობდა ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით. კრებაზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში დაგმობილია პარლამენტის იმ წევრთა მოქმედება, რომლებიც არჩეული არიან ამ დეპარტამენტისაგან და რომლებიც მიემხრნენ ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის, და ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მათი პოზიცია არ შეესაბამება ტარნის დეპარტამენტის მოსახლეობის ნებას.

ურუგვაის სლავთა საზოგადოებრიობა აღნიშნავს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს

მონტევიდეო, 11 იანვარი. (საკდესი). ამ დღეებში მონტევიდეოს პროგრესულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ურუგვაის სლავთა კავშირში შედიან, მოაწყეს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო. მოხსენება გააკეთა ახალგაზრდობის სექციისა და „მაქსიმ გორკის სახელობის კულტურული ცენტრის“ ხელმძღვანელმა მურავიოვმა. მომხსენებელმა ილაპარაკა ორი მომძმე ხალხის შეერთების ისტორიულ მნიშვნელობაზე, რუსებისა და უკრაინელების დიდ ურღვევ მეგობრობაზე, უკრაინის სს რესპუბლიკის მიღწევებზე.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად ურუგვაის სლავთა კავშირმა მოაწყო ფოტოგამოფენა.

უნგრეთის მშრომელთა პარტიის მე-3 ყრილობის მოწვევა

ბუდაპეშტი, 10 იანვარი. (საკდესი). უნგრეთის გაზეთებმა მოათავსეს უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდეგი ცნობა: „უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა მიმდინარე წლის 18 აპრილს მოიწვიოს უნგრეთის მშრომელთა პარტიის III ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგი:

1. უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და უნგრეთის მშრომელთა პარტიის ამოცანები (მომხსენებელი მ. რაკოში). 2. სახელმწიფო აპარატისა და საბჭოების ამოცანები (მომხსენებელი იმრე ნადი). 3. ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიში (მომხსენებელი კაროი კიში). 4. უნგრეთის მშრომელთა პარტიის წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ (მომხსენებელი ლაიოშ ანი). 5. უნგრეთის მშრომელთა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები“.

ბერლინში ოთხი უმაღლესი კომისრის წარმომადგენელთა მორიგი სხდომა

ბერლინი, 12 იანვარი. (საკდესი). გუშინ ბერლინში ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციის შენობაში გაიმართა ბერლინში ოთხი უმაღლესი კომისრის წარმომადგენელთა მესამე სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა ტექნიკური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირისათვის მზადებასთან.

წარმომადგენელთა შემდეგი სხდომა გადაწყვეტილია მოეწყოს 13 იანვარს საფრანგეთის სამხედრო ადმინისტრაციის შენობაში.

ინდოეთის მთავრობის წინადადება მოწვეულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა

დელი, 11 იანვარი. (საკდესი). დელის რადიომ გადასცა პრეს ტრასტ ოფ ინდიას სააგენტოს ცნობა, რომ ინდოეთის მთავრობამ ოფიციალურად მოითხოვა მოწვეულ იქნას 8 ან 9 თებერვალს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა კორეის საკითხის განსახილველად.

სპორტის ამბები

საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრებანი სათხილამურო სპორტში

სვერდლოვსკი, 10 იანვარი. (საკდესი). დღეს სვერდლოვსკის ახლოს უკტუსის მთებზე დაიწყო. საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება სათხილამურო სპორტში პოლონეთის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა შორის.

11 საათია. იწყება ამხანაგური შეხვედრის მონაწილეთა პარადი. მოედანზე, რომელიც მორთულია პოლონეთის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ეროვნული ალმებით, მწყობრ კოლონებად შემოდიან სპორტსმენები. შეჯიბრების მონაწილეებს ესალმება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამმართველოს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ა. კრივცოვი.

გამოცხადდა სტარტი 30 კილომეტრზე ვაჟთათვის. ყოველ წუთს თხილამურებზე დგება ორი სპორტსმენი. საჭიროა ორი წრის გავლა (თვითეულ წრეში 15 კილომეტრია), ციცაბო აღმართების, ძალზე დაქანებული დაღმართების გაცალახვა.

ლენინგრადელი ვ. კუზინი პირველი მივიდა ფინშთან და უჩვენა 1 საათი 40 წუთი 9 წამი. ფინეთის წარმომადგენელი ვ. სალო ჩამორჩა 29 წამით. პირველი ათი ადგილიდან საბჭოთა სპორტსმენებმა დაიკავეს 8.

ამავე დროს გამოცხადდა სტარტი ხუთ კილომეტრზე ქალებისათვის. საუკეთესო დრო უჩვენა ლენინგრადელმა ე. არხიპოვამ. მისი შედეგი 19 წუთი და 38 წამი. მეორე ადგილი დაიკავა სვერდლოვსკელმა ა. რომაშოვამ, მესამე — ნ. გუსევამ. (ლენინგრადი).

შეჯიბრება გრძელდება.

* * *

10 იანვარს ლენინის გორაზე მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ნორვეგიის, პოლონეთის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები.

ამხანაგურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ნორვეგიის სამგზის ჩემპიონმა ტურბიერნ ფალკენგერმა. მან მოაგროვა 221,8 ქულა. მესამე ცდის დროს ფალკენგერმა ჰაერში იფრინა 62 მეტრი. ეს გუშინდელი შეჯიბრების საუკეთესო შედეგი იყო.

შეჯიბრებაში მაღალი ოსტატობა ცხადყვეს ფინელმა სპორტსმენმა ვეიკო სალმენრანდამ, რომელმაც მოაგროვა 217,3 ქულა და დაიკავა მეორე ადგილი, და საბჭოთა კავშირის მოთხილამურემ ევგენი გროზნინმა, რომელმაც მოაგროვა 216,4 ქულა და დაიკავა მესამე ადგილი.

შეჯიბრებამ გულთბილ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

სსრ კავშირის XXI საჭადრაკო ჩემპიონატი

კიევი, 12 იანვარი. (საკდესი). გუშინ გაიმართა სსრ კავშირის XXI საჭადრაკო ჩემპიონატის, მესამე ტური. გროსმაისტერმა ლილიენტალმა საუცხოოდ ითამაშა პარტია ოსტატ შამკოვიჩის წინააღმდეგ. შესწორია რა ხარისხი, ლილიენტალმა მიაღწია მნიშვნელოვან პოზიციურ უპირატესობას, მოიგო სამი პაიკი და აიძულა შამკოვიჩი წინააღმდეგობა შეეწყვიტა. ფლორი, რომელიც შავებით თამაშობდა ვეელერთან, დიდხანს ინარჩუნებდა თანაბარ პოზიციას, მაგრამ თეთრებმა თანდათანობით მოახერხეს მიეღწიათ უპირატესობისათვის. განიცადა რა მატერიალური ზარალი, ფლორი დანებდა.

ხოლოვმა წააგო ოგაზონინთან. ტაიმანოვ-კორჩნოის და სუეტინ-ნეკმეტდინოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მესამე ტურის შემდეგ წინ არის გროსმაისტერი ლილიენტალი, რომელსაც სამიდან ორნახევარი ქულა აქვს.

კულტურული ურთიერთობა

მოძმე ხალხებს შორის

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლს შემოქმედებითი ურთიერთობა აქვს სსრ კავშირის მოძმე რესპუბლიკების ხალხური შემოქმედების სახლებსა და დაწესებულებებთან.



უკრაინის ხალხური შემოქმედების სახლს გაეგზავნა ჩაწერილი ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები. კრასნოდარის მხარეა სადგურ კრიმსკაიას საკონსერვო კომბინატის კლუბს — ქართული ცეკვების პლაკატები, ხოლო ლვოვის ოლქის ოფიცერთა სახლს ქართველი კომპოზიტორების სიმღერები — რ. გაბიჩვაძის „სიმღერა რუსთაველზე“, „აკვანი“, მ. დავითაშვილის „სიმღერა სამშობლოზე“, რ. ლაღიძის „ქართველ მგზნებარს“ და შ. თაქთაქიშვილის „ერთხელ ვიხილე“. სიმღერები გაეგზავნა ლატვიის ხალხური შემოქმედების სახლს. შემოქმედებითი ურთიერთობა დამყარებულია აგრეთვე ლენინგრადის, ტაშკენტის, ყაზანის და ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების ხალხური შემოქმედების სახლებთან.

საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლმა უკრაინიდან მიიღო ხალხური სიმღერები, უკრაინელი კომპოზიტორების ნაწარმოებები და ერთმოძმედებიანი პიესების კრებული, დაღისტნის ასს რესპუბლიკიდან ერთმოძმედებიანი პიესები, ხოლო თათრეთის ასს რესპუბლიკიდან საკონცერტო პროგრამები და მეთოდური წერილები. უზბეკეთის სსრ რესპუბლიკურმა სახლმა გამოგზავნა ... ხალხური ... ალსანიშნავია სახლის შემოქმედებითი ურთიერთობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ბუდაპეშტის კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტიდან საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლმა საჩუქრად მიიღო ალბომები, სახელმძღვანელოები მხატვრობის დარგში, უნგრული კლასიკური არქიტექტურის სახელმძღვანელოები, უნგრეთის ხელოვნების ისტორიის ალმანახები, სამხატვრო გამოფენების ექსპონატთა რეპროდუქციები, უნგრული მწერლების, მეცნიერების და მხატვრების ავტობიოგრაფიული ცნობები, ხალხური შემოქმედების ნიმუშები.

ამ დღეებში საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი მოძმე უკრაინაში გზავნის ქართულ ხალხურ სიმღერებს და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს.

მ. ჩირინაშვილი,

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის დირექტორი.

სურათზე: საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის სახალხო-დემოკრატიული ... ენის ... ენის ... ენის